ოქმი:**ო08. 3722350001**

თარიღი:**16/12/2022**

ოქმი № 25
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 16 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

13.00 -14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის უხუცესი წევრი)

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, გ. ჩავლეშვილი, გ. შილაკაძე, ბ. კილაძე, ლ. კილაძე, პ. კიღურაძე, დ. დარჩია, ალ. ბურჭულაძე, ალ. ღლონტი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი: ლ. ბიგვავა

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ლ. ბიგვავა

სხდომის თავმჯდომარემ ლ. ბიგვავამ მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის, გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, კორექტირებული პროექტის შესახებ, აღნიშნა, რომ მასში თითქმის სრულადაა გათვალისწინებული შენიშვნები, მათ შორის მუნიციპალური ქონების მართვის კუთხითაც, ვრცლად კორექტირებული ბიუჯეტის პროექტზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, მან პირველ რიგში კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია პროექტში შეტანილ ცვლილებებზე, ბიუჯეტი პირველ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 831 ათასი ლარით. შენიშვნები და რეკომენდაციები შემოსული იყო, როგორც საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისაგანაც. მათი უმრავლესობა გათვალისწინებულია. ამის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, სხდომის თავმჯდომარემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ კომისიას ჰქონდა შენიშვნა, პრიორიტეტად აღიარებული-ადგილობრივი ეკონომიკის ხელშეწყობის მუხლში გამოყოფილი თანხის გაზრდასთან დაკავშირებით, რაც არაა გათვალისწინებული, გამოყოფილი თანხა კი არ აკმაყოფილებს პრიორიტეტად აღიარების მოთხოვნებს. კარგი იქნება თუ 2022 წლის ბიუჯეტის ხაშთების განხილვისას აქ გათვალისწინებული იქნება თანხის 400 ათას ლარამდე გაზრდა. ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ შესაძლებელია კორექტირებული ვარიანტის წარდგენა საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა-

დამტკიცების მიზნით. კომისიის წევრებმა კენჭისყრით მხარი დაუჭირეს სხდომის თავმჯდომარის ამ წინადადებას.

სხდომის თავმჯდომარემ ლ. ბიგვავამ, ისაუბრა დღის წესრიგის მეორე საკითხზე, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მედიაჰოლდინგისათვის საექიმო ამბულატორიების გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ პროექტები წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ლავრენტი ბიგვავა

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი